საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 2 22 0000666357

17/06/2022

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის IX კლასისა და საშუალო საფეხურის X კლასის ზოგიერთი საგნის სასკოლო სახელმძღვანელოს მაკეტისათვის გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის №118 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების და მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის 28/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესი და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 23 მარტის N272506 ბრძანების საფუძველზე და ,,ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა/პირებთა (რომელიც/რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს/წარუდგენენ გრიფირების განაცხადს კონკრეტული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების თხოვნით) საჩივრების მიღებისა და განხილვის მიზნით დროებითი კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 16 მაისის N492248 ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი დროებითი კომისიის გადაწყვეტილებებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2022 წლის 17 ივნისის N664866 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გრიფის მინიჭებაზე უარი ეთქვას ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული სახელმძღვანელოების მაკეტებს.
2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
მახარაშვილი თამარ

დანართი

საგნობრივი ჯგუფი	საგანი	კლასი	სახელმძღვანელოს ID
სახელმწიფო ენა	ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორ ებისთვის)	IX	1589
უცხოური ენები	მეორე უცხოური ენა - რუსული	IX	1567
სახელმწიფო ენა	ქართული ენა და ლიტერატურა	X კლ, I სემესტრი	1670
	ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორ ებისთვის)	X	1661
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მოქალაქეობა	X კლ, I სემესტრი	1663
	სამოქალაქო განათლება	X	1664
			1659
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ფიზიკა	X კლ, I სემესტრი	1665
	ბიოლოგია	X კლ, I სემესტრი	1658
	ქიმია	X კლ, I სემესტრი	1673
უცხოური ენები	პირველი უცხოური ენა - ინგლისური	X	1667
			1607
	მეორე უცხოური ენა - რუსული	X	1654
			1668
			1649
			1621